სარგავი მასალის დიდი რაოდენობით მიღება ზეთისხილს მსხვილი კალმებით მოუხერხებელია, რადგან ამისათვის საჭირო იქნებოდა ძალიან ბერები სადედე ხე, ასე რომ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ზეთისხილის ერთწლიანი და მწვანე ყლორტებით გამრავლებას ენიჭება. მაგრამ, როგორც ზემოთ აღნიშვნეთ, ასეთი წესით დაკალმების ფართო გამოყენება შეზღუდულია წვრილი ყლორტებიდან მიღებული კალმების სუსტი დაფესვიანებით. ამ უკანასკნელი საკითხის შესწავლას ზეთისხილის ვეგეტაციურად გამრავლების დროს არსებით მნიშვნელობა აქვს.

ზეთისხილის ერთწლიანი (განხევებული და მწვანე) ყლორტებით გამრავლების ცდითი ჩატარებული იყო 1938 წელს ვ. მ. მოლოტოვის სახ. ნიკიტის ბოტანიკურ ბაღში. ამ ცდების შედეგებმა ცხადყო, რომ ერთწლიანი განხევებული ყლორტებიდან აღებული კალმები დაფესვიანების უდიდეს პროცენტს ზამთრის პერიოდში (20.VI—15.II) ჩატარებული დაკალმების შემთხვევაში იძლევა. საკონტროლო მასალაში დაფესვიანებული იყო 22%, ხოლო ჰეტეროაუქსინით დამუშავების შემდეგ 36%-ს შეადგინდა.

ა. შეჩერდაკომა [2] ზეთისხილის ერთწლიანი ყლორტების დაკალმების ცდებში ბაქოს პირობებში მიიღო დაფესვიანების 45%, ხოლო ყლორტის წვეროებით დაკალმების ერთ შემთხვევაში დაფესვიანება 96%-ს აღწევდა. ზეთისხილის ერთწლიანი ყლორტების დაკალმებისას მშრალ სუბტროპიკულ აზერბაიჯანის საცდელ სადგურზე დაფესვიანების მაღალი პროცენტი მიიღო დ. 3 ო დლუნიში [3]. ამ ცდაში კალმების დაფესვიანება 66,5% შეადგენდა, ცალკეულ შემთხვევაში კი 77,7% აღწევდა. უკანასკნელ შემთხვევ-

ვის აღგილი ჰქონდა ყლორტის ქვედა ნაწილიდან აღებული კალმების დაფეს-ვიანებისას, საწინააღმდეგოდ შეერბაკოვისა, რომელმაც დაფესვიანების უდიდე-სი: მროცენტი ყლორტის წევეროდან დამზადებული კალმებისათვის მიიღო. ზე-თისხილის დაკალმების საუკეთესო დროდ ორივე ავტორი ოქტომბრის თვეს აღნიშნავს.

თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტში ა. კობერიძემ [4] ზეთისხილის კალ-მების დაფესვიანების მხოლოდ 8% მიიღო, ისიც მხოლოდ ჰეტეროაუქსინით დამზადების შემდეგ. დაკალმება ამ ავტორის მიერ ჩატარებული იყო 12 აგ-ვისტოდან 12 დეკემბრამდე. სულაკაძის მიერ სოხუმში 1935 წ. ზაფხულზე ზე-თისხილის ერთწლიანი და მწვანე ყლორტების დაკალმების პირველ ცდებში დაფესვიანების მცირე პროცენტი ($10-12\%$) იყო მიღებული, მიუხედავად იმისა, რომ კალმები შავრის, ბორის მეურისა და მანგანუმმეუავა კალიუმის ხსნა-რებით იყო დამუშავებული.

ზემოხსენებული მცენარეების მიერ მიღებული მონაცემების საფუძველზე ზეთისხილი (ჯიშების მნიშვნელოვანი ნაწილი) ეკუთვნის ერთწლიანი ყლორტე-ბით ძნელად დამატესვიანებელ ჯიშთა ჯგუფს. ეს მონაცემები გვიჩვენებს აგ-რეთვე, რომ ზეთისხილის ერთწლიანი გახვებული და მწვანე ყლორტებით წარმატებით დაფესვიანება დამოკიდებულია მთელ რიგ პირობებში, როგორი-ცა ჯიშთა თავისებურება, მცენარის მდგომარეობა კალმების აღების მომენტში, მცენარის ზრდა-განვითარებისა და დაკალმების პირობები და სხვა, მაშინ რო-დესაც ერთი ჯიში ადვილად ფესვიანდება შესაფერ პირობებში სტიმულატო-რის გარეშე, მეორე ჯიში, ძნელად დაფესვიანების თვისების გამო, პირიქით, მოითხოვს ფესვების წარმოქმნისათვის სტიმულატორებით ქმედებას. ამასთანა-ვე, ერთინი ადვილად იძლევან ფესვებს ზამთარში, ე. ი. მოსვენების სტადია-ში, მეორენი კი ვეგეტაციის დროს.

ზეთისხილის ერთწლიანი და მწვანე კალმებით გამრავლების ცდები ჩა-ტარებული იყო ჩემ მიერ 1942 წლის ივნისის პირველ ნახევარში საქართვე-ლოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტში. ზაფხულის (მწვანე და ნახევრად გახვებული) მოზარდდა ყლორტებითან იქრებოდა 2—4 წყვილუოთ-ლიანი კალმები, ქვედა ფოთლებს ვაჭრიდა, ზედა ფოთლები ნახევრად მოკლ-დებოდა. კალმების სიგრძე 4—6 სანტ. უდრიდა (მუხლთაშორისების ზომასთან დაკალმებით). დაკალმებისათვის საჭირო მასალა აღებული იყო საქართველოს მეცნ. აკადემიის ბოტანიკურ ბაღში.

იმ მიზნით, რათა ერთწლიანი კალმებისათვის ძნელად დაფესვიანების თვისება მოგვეხსნა, ცდებში გამოყენებული იყო ფესვთა წარმოქმნის ფიზიო-ლოგიური ქმედების საშუალებანი. სტიმულატორებად გამოცდილი იყო ჰეტე-როაუქსინის, ბორის მეურის, სახაროზასა და მანგანუმმეუავა კალიუმის შემდეგი კონცენტრაციები (იხ. 1 ცხრილი).

კალმების სტიმულატორებით დამუშავების ხანგრძლივობა 48—72 საათს უდრიდა. საკონტროლო კალმები მოთავსებული იყო წყალში იმავე ხნით. და-მუშავებული კალმები (30 ცალი თითო ვარიანტში) გადაირგვებოდა ორანე-რეაში მცნით დაბურულ სილიან ყუთებში. ჩვენდა დამოკიდებელი გარემოე-

შის გამო, გარემო არის ტემპერატურის რეგულირება არ. წარმოებდა, ის მეტ-
ყობდა 35°-დან დღისით 20°-მდე დამით. როგორც ქვემომოყვანილი შონა-
ცემებიდან იქნება ნათელი, ასეთი ტემპერატურა შეტად მაღალია, ზეთისხი-
ლის კალმების დაუფსვიანება უფრო ზომიერ ტემპერატურას მოითხოვს. კალ-
მების მოვლა გამოიხატებოდა მორჩყვაში და წყლის შესურებაში იმ ანგარი-
შით, რომ მაღალ დონეზე შეგვენარჩუნებინა ნიადაგისა და ატმისფეროს ტე-
ნიანობა, ხოლო დაჭაობების მოვლენას არ ვქონლა ადგილი. კალმების და-
ფუსვიანება $1\frac{1}{2}$ —2 თვის შემდეგ დაიწყო და გრძელდებოდა სიცივეების დად-
გომამდე (დეკემბერი), რის შემდეგ ფესვთა წარმოშობის პროცესი შეწყდა და
ამ დროისთვის დაუფსვიანებელი კალმები დაიღუპა.

ცხრილი 1

სტიმულატორის დასახელება	კონცენტრაცია
ჰეტეროაუქსინი	I : 100,000
"	I : 10,000
"	I : 1,000
ბორის სიმეკვე	0,002%
"	0,02%
მანგანუმერავა კალიუმი	0,005%
"	0,05%
"	0,5%
სახაროზა	2%
"	5%
"	10%
ჰეტეროაუქსინი	I : 10,000
სახაროზა	2%

ზექრის სსნარები გამოიყენებული იყო როგორც დამატებითი კეგება. ამ შეთხვევაში ვხელმძღვანელობდა მშვანე მოზარდ ყლორტებში საკვები მარავის გადიდების აუცილებლობით, ვინაიდან თავის ქსოვილებში ასეთი კალმები ან სრულიად არ შეიცავენ, ან კიდევ მარავის მინიმალურ რაოდენობას შეიცავენ. დაუფსვიანების წარმატება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია კალმის ქსოვილებ-ში სახარჯავი მასალის მარავის ოდნობაზე. ყველა ახლადშარმობილია ქსო-
ვილის (კალუსის, ფესვების და სხვა) განვითარება კალმის პლასტიკურ ნივთა-
ერებათა ხარჯზე ხდება. თუ ამას მივემატება რამდენიმე თვის განმავლობაში ნივთიერებათა მნიშვნელოვან ხარჯვას სუნთქვის პროცესში, სანამ კალმები და-
ფუსვიანდებიან, პლასტიკურ ნივთიერებათა ხარჯვა კალმის ძლიერ გაიზრდება.

ანატომიურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ სახაროზას სსნარებით დამუშავე-
ბულ კალმებში სახამებლის შემცველობა მატულობს, მაშინ როდესაც საკონტ-
როლო კალმებში სახამებლის მხოლოდ ნიშნები იყო აღმოჩენილი.

სხვადასხვა მცენარის კალმების ფესვთა წარმოქმნის პროცესზე ზექრის სსნარების მასტიმულირებელი ქმედება მრავალი მკვლევარის მიერ იყო შემ-

ჩნეული [5, 6, 7, 8]. კურტისმა [6] თვის ცდებში *Ligustrum ovalifolium*-
კალმების შაქრის ხსნარებით დამუშავების შედეგად მიიღო დაფესვანების-
17-ჯერ გადიდება. კეხოვმა და ილინმა [5] ხსნადასხვა მცენარის კალმე-
ბის 5—10% შაქრის ხსნარებით დამუშავებისას უფრო ხელსაყრელი ზეგალენ-
სკუმბის შემთხვევაში მიიღეს. ამ მცენარის კალმებმა 100% დაფესვიანება აჩ-
ვენა შედარებით კონტროლთან (75%). შემჩნეული იყო, რომ კალმების ნახ-
შირწყლებით გამდიდრებისას მიიღობა მეტი როგორც ნობის და უფრო მძლავრი-
ფესვები. სახაროზით კვებამ გამოიწია აგრეთვე უფრო ძლიერი ყლორტების
განვითარება. გუტაპერის ხის კალმების დაფესვანების ცდებში სახაროზით
დამუშავების შემთხვევაში სულ აკადემ და ვასილევმა დაფესვიანების
50% მიიღეს.

სახარისას სხსარებით წინასწარ დამუშავების რამდენამდე დადგებით, ეფექტს აღნიშვნას Starring [7] ტომატის კალმების დაფესვიანებისათვეის.

ზეთისპილის კალმების დატესვიანების შედეგები პროცენტებით

ଓৰোল্লো 2

დაფუძნების ვალები						
სტრუქტური და მისი კონცენტრაცია	თვენაბეჭ- რის შემ- დეგ	სამი თვეის შემდ.	ოთხი თვეის შემდ.	ხუთი თვეის შემდ.	სულ და- ტყუპვა- ნების 100 %	
სახაროზა 20%	6,5	20	6,5	18	51	
" 50%	0,0	13	20,0	18	51	
" 100%	6,5	13	—	—	21	
პეტროლუმისინი						
1 : 100,000	6,5	6,5	13,0	25,0	51	
1 : 10,000	13,0	6,5	6,5	22,0	48	
1 : 1,000	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	
პეტროლუმისინი						
1 : 10,000 +						
სახაროზა 20%	6,5	6,5	6,5	19,0	40	
შეალი	—	—	—	6,5	695	

ბორის მეურას და მანგაძუშმეურა კალიფის ხსნარებში დამშუავებული კალ-
მები საცესტით დაიღუპა. ზეთისხილის კალმების დაფუძვიანებაზე ამ ნივთიერე-
ბებმა უარყოფითი გაელენა მოიხდინა.

საუკეთესო შედეგები იყო მიღებული კალმების სახარონასა და ჰეტერო-აუქსინის შედარებით სუსტი კონცენტრაციის სხსარებში, როგორც ცალკე, ისე მათ ნარევში. დაფუძნების უდიდესი პროცენტი შემოღომის ბოლოს იყო მიღებული. ამ დროისათვის გრძელო არის ტემპერატურა დაიწია, ის მეტყობენდა 10° – 15° ფარგლებში. $+10^{\circ}$ იყო ტემპერატურის საზღვარი, რომლის დაბლა ფესვთა ჭარბობის პროცესი შეწყდა. როგორც მონაცემებიდან ჩანს, ზეთისხილის მწვანე და ერთწლიანი ყლორტებიდან გაკთებული კალმების დასაფეხიანებლად 12° – 15° ტემპერატურა არის ოპტიმალური. ტემპერატურა-

30° — 35° ზევით და 10° დაბლა აბრკოლებს ფესვთა წარმოშობის პროცესს. შექმნაბაკოვი (აზერბაიჯანის პირობებისათვის) მიუთითებს, რომ 14° — 16° დღისით და 12° ღამით საუკეთესოა კალსის წარმოშნისათვის, ხოლო ფესვთა წარმოშნისათვის საჭიროა 12° დღისით.

თითოეულ კალაშნე წარმოიქმნებოდა 1—4 ფესვი, ფესვები კალმის ქვედა ზედაპირს კალტისიდან გამოსლიდა.

უნდა აღინიშვნოს, რომ ერთ-ერთი საპასუხისმგებლო მომენტია დაფუძვიანების შემოწმებისათვის კალმების გადარჩევა. ახალგაზრდა ფუსკები ადგილად ტყება, განსაუთრებით კი როდესაც სილა, რომელშიც კალმებია მოთავსებული, შეტაც წვრილია (წვრილი სილა ადგილად და სწრაფად იტკებნება). ამ არასასურველი მოვლენის თავიდან ასაცილებლად (თუ ეს შესაძლებელი) საჭიროა კალმები ჩაირგოს მსხვილ სილაში. უკანასკნელი პირობადებს საუკეთესო ტენიანობასა და აერაციას. სუბსატის ხელსაყრელ გავლენას ზეთისხილის დაფუძვიანებაზე აღნიშნებს დ. პოლუჟნი [3].

დაგესვინებული კალმები გადაირგვებოდა ქოთნებში ჩეულებრივ ნია-
დაგში, თითოეულში თითო კალმი, ხოლო ორი დღის დაჩრდილვის შემდეგ
გადაგეტონდა სინათლეზე. მთელი ზამთრის განმაცლობაში მცენარეები გაუთ-
ბობელ (ცივ) ორანეურეაში იყვნენ, გზაზე ფულზე გამოგვიწოდა გარეთ. დაფულ-
ვიანებულ მცენარეთა ნაწილი ჯერ კიდევ ქოთნებში დაიღუპა, დანარჩენი ერ-
თი წლის შემდეგ გადაირგვა სანერგეში, მიმდინარე წლის მარტში კი გადატა-
ნილ იქნა მუდმივ ადგილზე. ინგისის გარდა დაკალმების სხვა ვალები სხვადა-
სხვა მიზეზის გამო არ ყოფილა გამოცდილი.

ზეთისხილის ერთწლიანი ყლორტებით დაკალებების მიზნით ჩემ მიერ ჩატარებული ცდებიდან შეიძლება წინასწარი ხასიათის შემდეგი დასკვნების გაკეთება:

1. ქეთისხილს აქვს უნარი გამრავლდეს როგორც მწვანე მოზარდ, ისე ნახევრად გახვევბული ყლორტებით. უკეთესი დაფესვიანება ხდება კალმების წინასწარ 48—72 საათის განშავლობაში ჰეტეროაუქსინისა ($1:10,000$, $1:100000$ ქონცენტრი), და შაქრის (2% , 5% და 10%) სსნარებით დამუშავების შემთხვევაში, მათი ზემოქმედებით როგორც ცალკე, ისე კომპინაციაში.

ପିଲାଗ୍ରୀଲ ନାର ଶ୍ୟାମତକ୍ଷେତ୍ରାଶି (ଶ୍ୟାମୀରାଜୁପିଣିତା ଓ ସାହଚରଣକୀତ ଦାଖିଲାପାଇବା) ଶ୍ୟାମଗ୍ରାମ ତିଥିମେ ହେଉଥାଏଇବା:

პირველ შემთხვევაში (ჰეტეროაუქსინით დამუშავება) დაფუძნიანება 48—51% იყო, მეორეში—(სახაროზით ზემოქმედება) დატესიანება 21%—დან (10% ხსნარი) 51%—მდე (2%, 5%) მერყეობდა; მესამე შემთხვევაში კი (ჰეტეროაუქს. + სახაროზ) 40% შეაღენდა. საკონტროლო კალმების (წყალში) დაფუძნიანების პროცენტი დაბალი იყო (6, 5).

2. სახაროზნის სსნარებით ზეთისხილის კალმებზე ზემოქმედების ეფექტის საფუძველზე შეიძლება ვიყარაულოთ, რომ მწვავე მოხარულორტებს, რომლი-დანაც გამოიჭრება კალმები, აქვს დაფუსვიანების უნარი, ხოლო ფესვების წარმოქმნისათვის საჭირო პლასტიკური ნივთიერების მარაგის ნაკლებობას განიცილის.

3. გარედან მიწოდებული საკედი ხსნარების ხარჯზე მარაგი ნივთიერების დაგროვება მიეროქიმიური ანალიზებით დასტურდება. შაქრის ხსნარით დამუშავებული კალმების ანათალი სახამებლის მეტ რაოდენობას შეიცავდა.

4. შევანე და ნახევრად განეცებული კალმების დაფესვიანებისთვის საუკეთესო პირობას წარმოადგენს ნიადაგის კარგი ჰაერაცია, ზომიერი სინესტედა ნიადაგისა და ჰაერის ტემპერატურა (12° — 16°).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ბოტანიკის ინსტიტუტი

თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 5.6.1947)

დამოუმზული ლიტერატურა

1. A. Petit. Remarques morphologiques et physiologiques sur la bouturage. Ann. du serv. bot. v. VI, Tunis, 1929.
2. А. Н. Щербаков. К вегетативному размножению маслины. Советские субтропики, № 9, 1940.
3. Л. Ф. Поздунаевский. Черенкование маслины. Советские субтропики, № 11—12, 1940.
4. ა. კობერიძე. გამოკვლევები ზრდის ნივთიერებათა მოქმედებაზე კალმების დაფესვიანების დროს. საკანონდატო დისტრიბუცია, თბილისი, 1940.
5. Н. П. Вехов и М. П. Ильин. Вегетативное размножение древесных растений летними черенками. ВИР, Лейпциг, 1934.
6. O. F. Curtis. Stimulation of roots growth in cuttings by treatment with chemical compounds. Corn. univer. Agr. Exper. St., 14, New-York, 1918.
7. C. C. Starling. Influence of the carbohydric nitrate content of cuttings upon the proliferation of roots. По реферату Ф. Лихоноса в тр. по пр. Бот. Чел. и селек. XVI, 65, 1927.
Тр. по прикл. бот. ген. и сел., т. XVIII, в. 5, Л., 1927.
8. Т. С. Сулакадзе и А. В. Васильев. Подкармливание и стимуляция черенков гуттаперчевого дерева (рукопись), 1932.

ბოტანიკა

თ. ძმილი და გ. მრალაშვილი

ასკორბინის მუზეუმი და კატალაზა ლეკას ფოთლებში ვირტიკალურ
ზონალობასთან დაკავშირდით

(წარმოადგინა აკად. ნამდვ. წევრმა ვ. გულისაშვილმა 16.6.1947)

დეკა (*Rhododendron caucasicum* Pall.) მისი ვერტიკალური გავრცელების დიაპაზონის, რამდენიმე ასაკის ფოთლებისა და განსხვავებული ყლორტების არსებობის გამო მეტად საინტერესო საკვლევ მინიჭებული უნიკალური გამოიკვლევება შეეხმარდა დეკას, როგორც ტანილშემცველ მცენარეს. გამოიკვლევება, რომ იგი საუკეთესო ნედლეულს წარმოადგენს როგორც ტანილების შემცველობით, ისე მისი ვარგისანობით. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ როგორც ტანილშემცველობა, ისე რაოდნობა ნახშირწყლებისა, რომლებიც ჩვენ მიერ აგრძელებენ შეისწავლებოდა, და მათთან დაკავშირდებული მაჩვენებლები შესამჩნევად იცვლება ადგილსამყოფელოსა და ფოთლის ასაკის მიხედვით. არსებობს რიგი გამოკვლევები, რომლებიც მიგვითოვებენ, რომ ვერტიკალურ ზონალობასთან დაკავშირებით ზოოპროცესების მსვლელობაც მცენარეებში განსხვავებულია.

ჩვენი გამოკვლევა შეეხება ასკორბინის მეგავასა და კატალაზას ცვალება-დობას დეკას ფოთლებში; საანალიზო შასალა უმთავრესად აღებული იყო მთა ცხრაშუაროს ჩრდილოეთ ფერდობზე (ბაკურიანი), დეკას გავრცელების სხვადასხვა სიმაღლეზე—2,290, 2,510, 2,600 და 2,660 მეტრი ზღვის დონიდან. ასკორბინის მეგავას განსაზღვრას ვაწარმოებდით ტილმანის მეთოდით, ხოლო კატალაზას განსაზღვრას—გაზომერტული მეთოდით, 2 მლ 10% H_2O_2 -ს მომატებით 0,5 გრ ნედლ მასალაზე. ამასთანავე ფერმენტის ხარისხის დასადგენად კატალაზას განსაზღვრა ხდებოდა ორ ტემპერატურაზე (20° და 30°). დეკას ფოთლის დამახასიათებელია ერთ ბუჩქზე სამი სახის ყლორტების არსებობა: მოზარდი, ყვავილების მატარებელი და საყვავილევირტებიანი, რომლებიც ყვავილობას დაიწყებენ შხოლოდ მომავალ წელს. ანალიზები ჩატარებული იყო სამივე სახის ყლორტებზე, სხვადასხვა ასაკის ფოთლებში, თითოეული სიმაღლისათვის. მიღებული შედეგები მოგვყავს № 1 ცხრილში. ცხრილში მოყვანილი მასალა გვიჩერებს, რომ როგორც ასკორბინის მეგავას, ისე კატალაზა მოწლიან ფოთლებში შეკვეთად გამოიჩინება თავისი მაღალი მაჩვენებლებით. ამ მხრივ ერთწლიანი ფოთლები ჩამორჩებიან, ხოლო სამწლიანები და ოთხწლიანები კიდევ უფრო დაბილ მაჩვენებლებს იძლევიან. როგორც ცნობილია, დე-

კას ფოთოლი მაისში ან ივნისში იწყებს განვითარებას, ორჯერ იზიმთრებს და მესამე ზაფხულის დამლევიდან თანდათანობით ხმება და ცვიება. ჩვენ ვფიქტობთ, რომ დევას სწორედ ორწლიანი ფოთოლი უნდა ჩაითვალოს სრულიად ჩამოყალიბებულ, ზრდადამთავრებულ ფოთოლად, რომელსაც უფრო ინტენსიური ბიოპროცესი ახასიათებს.

რაც შეეხება ერთწლიანს, ის ჯერ კადევ ზრდადაუმთავრებელია, ხოლო სამწლიან და მეტი წნის ფოთოლებში უკვე სიბერის ნიშნები იწყება, რის გამოც ყველა პროცესი შენელებულია.

მსგავსივე სურათი გვავს მიღებული ფიჭვის *Pinus hamata* (Stew.) D. Sosn. სხვადასხვა ასაკის წარმოებული სატარებული მუშაობის შედეგად ეს მუშაობა ჩვენ მიგო სატარებული იყო 1944—45 წლებში. მასალა აღმოჩნდა იყო ბაკურიანის მაღალი მთის ბორციკეზე ბალში. მიღებული შედეგები წარმოდგენილი გვაქვს № 2 ცხრილში.

ასკორბინის მევავა და კატალაზა დევას ფოთოლებში ვერტიკალურ ზონალობასა და ფოთლის ასკორბინ დაკავშირებით (1)

ცხრილი 1

	2290 მ. ზღ. დ.		2510 მ. ზღ. დ.		2600 მ. ზღ. დ.		2660 მ. ზღ. დ.	
	კატალა-ზა		კატალა-ზა		კატალა-ზა		კატალა-ზა	
	მ/მ	%	მ/მ	%	მ/მ	%	მ/მ	%
მასალის დასახელება								
	20°	30°	20°	30°	20°	30°	20°	30°
სულილის წონაზე			სულილის წონაზე		სულილის წონაზე		სულილის წონაზე	
1-წლიანი ფოთოლი	115	145	166	116	138	155	120	174
2 " "	136	200	238	182	172	199	219	243
3 " "	76	107	136	92	68	91	80	120
4 " "	—	—	—	54	—	54	73	89
კონტროლი ფოთოლი	92	143	152	—	—	115	171	173
2 " "	120	201	224	—	—	216	217	233
3 " "	62	90	108	—	—	—	80	127
4 " "	—	—	—	—	—	46	105	125
კონტროლი ფოთოლი	116	121	126	—	—	152	128	138
2 " "	133	171	207	—	—	263	208	228
3 " "	77	75	81	—	—	102	80	99
4 " "	—	—	—	—	—	46	—	106

(1) კატალაზა აღინიშნება გამოყოფილი O₂-ის რაოდენობით 1 გ მშრალ ნივთიერებაზე 4 წუთში.

ასკორბინის მუვა და კატალაზა ფიტოცინის ახალგაზრდა და ხინერ წიწებში *Pinus hamata* (Stew.) D. Sosn.

ცხრილი 2

მასალის დასახელება	1944		1945	
	ასკორბ. მუვა mg %	კატალა- ზა	ასკორბ. მუვა mg %	კატალა- ზა
ერთწლიანი წიწები	225	118	267	87
ორწლიანი "	334	308	362	321
სამწლიანი "	352	606	395	587
ოთხწლიანი "	311	44	306	74
ხუთწლიანი "	147	37	226	55

წარმოდგენილი შედეგებიდან წათლად ჩანს, რომ ამ შემთხვევებში როგორც ასკორბინის მუვას რაოდენობა, ისე კატალაზის მაჩვენებლები მეტია სამწლიან წიწებში. აღნ შეული გარემოება მხედველობაში უნდა იყოს მიღებული წარმოებისათვის C-ვიტამინოვანი პრეპარატების დამზადების დროს.

თუ ერთიმეორებს შევადარებთ განსხვავებული ყლორტებიდან აღებულ ფოთლებს, ირკვევა, რომ ასკორბინის მუვასა და კატალაზის მაჩვენებლები განსხვავებას იძლევა. თუ კატალაზი ყოველთვის უფრო დიდია მონარდი ყლორტებიდან აღებულ ფოთლებში, ასკორბინის მუვა შემცირებულ საყვავილე კვირტების მქონე ყლორტებიდან აღებულ ფოთლებშია მეტი.

1 ცხრილში მოყვანილი შედეგები გვიჩვენებს აგრეთვე, რომ, უმეტეს შემთხვევაში, რაც მაღლა ავდივიართ მთაში, მით უფრო იზრდება ასკორბინის მუვა და კატალაზი დეკას ფოთლებში, განურჩევლად ასაკისა და ყლორტების სხედასხვაობისა. ასეთივე შედეგები მიღებულია ჩვენი წინანდელი მუშაობით [1] და იგრეთვე კოსტენკოს გამოკვლევით [2].

გარდა ცხრაწყაროს ფერდობში აღებული დეკასი, ჩვენ მიერ შეისწავლებოდა თვით ბოტანიკურ ბაღში (1700 მ. ზღ. დ.) 1938 წელს გაღმორგული დეკას ფოთლები ასაკის მიხედვით, აღებული განსხვავებული ყლორტებიდან, ისევე როგორც ცხრაწყაროს მასალიდან. მიღებული შედეგები მოგვყავს მე-3 ცხრილში.

ამის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ბოტანიკურ ბაღში გაღმორგული მცენარეების ფოთლებში როგორც ასკორბინის მუვას რაოდენობა, ისე განსაკუთრებით კატალაზი ისეთსავე დიდ მაჩვენებლებს იძლევიან, როგორც ცხრაწყაროზე სულ უდიდეს სიმაღლეზე (2660 მ) აღებული დეკას ფოთლები. ამის საფუძველზე შეიძლება ვიგულის სმინთ, რომ დეკა, ჩიმორანილი თავის ადგილ-სამყოფელოდნ, შედარებით უძად გრძნობს თავს, რის გამოც დეკას ფოთლებში დამჟანებელი პროცესები უფრო გაძლიერებულია. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამებად დეკას თვითონ აქვს ტენდენცია ზედა ზონის დატოვებისა და კვევით ჩამოსვლისა [3, 4], მაგრამ მაინც 1700 მეტრი მისი გავრცელებისათვის ისეთსავე უკიდურესობას უნდა წარმოადგენდეს, როგორც 2660 მეტრის სიმაღლეზე გავრცე-

ასკორბინის მეგავასა და კატალაზას რაოდენობა ბაქურიანის
ბორანიკურ ბალში მონარდ დეკას ფოთლებში

ცრრილი 3

მასალის დასახელება	1700 მ. ზღ. დ.		
	ასკორბინის მეგავა $mg\%$	კატალაზა	
		20°	30°
მოზარდი ყლორტი			
1-წლიანი ფოთოლი	137	196	347
2 " "	242	330	439
3 " "	81	130	175
ყვავილ თვანი ყლორტი			
1-წლიანი ფოთოლი	133	280	331
2 " "	239	385	462
3 " "	61	—	—

ლება, რის გამოც ამ ორ უკიდურეს სიმაღლეზე (1700 და 2660 მმ) აღებული დეკას ფოთლები დამზადებული პროცესების ერთნაირ მაღალ მაჩვენებლებს იძლევიან.

აღებულ მასალაში საინტერესო იყო გამოგვერდია აგრეთვე ფერმენტის ხარისხმბრივი ცვალებადობა დეკას ვერტიკალური გავრცელებისა და ფოთლის ასაკთან დაკავშირებით. ბლაგოვეგრენსკის [5] გამოკვლევებით მცენარის ჟეგუება უკიდურეს პირობებთან მიღწეულია ფერმენტის ტემპერატურული კოეფიციენტის შემცირებით. ამავე აზრს იჩიარებს გრებინსკი [6], რომელიც ჟეგუებაში უკიდურად ფერმენტის ხარისხიანობას ჰულტურულ მცენარეებში, რომლებიც ატანილი ჰქონდა 2000 მეტრის სიმაღლეზე, და ადგილობრივ ველურ მცენარეებში. იგტორი აღნიშნავს, რომ ჰულტურულ მცენარეებში ტემპერატურული კოეფიციენტი უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ადგილობრივ ველურ მცენარეებში, რაც ისევ უკიდურეს პირობებთან შევევით არის გამოწვეული. ჩევნ მიერ განსაზღვრული ტემპერატურული კოეფიციენტის შედეგები (ცხრილი 4) არ გვაძლევს სხვთ მეცენტ განსხვავების სიმაღლეების მიხედვით, რაც შეიძლება იმით არის გამოწვეული, რომ ჩევნ კატალაზას ესაზღვრავდით 20° და 30° -ზე და არა უფრო დაბალ ტემპერატურაზე, რაც მთის პირობებისათვის ჟესაძლებელია უფრო მისაღები იყოს.

აღსანიშნავა ის გარემოება, რომ ბაკურიანის ბორანიკურ ბალში გადმორგულ დეკას ფოთლებში, მიუხედავად იმისა, რომ ფერმენტი ძლიერ აქტიურია, მისი ხარისხი სხვა მასალასთან შედარებით დაბალია. ფერმენტის ხარისხის შემცირებას ვამჩნევთ აგრეთვე ხნიერ ფოთლებში, რაც დამახასიათებელია თითქმის კველა ჩევნ მიერ შემოწმებული სიმაღლისათვის.

ჩატარებული მუშაობის საფუძვლებზე შეიძლება დაგესკვნათ:

1. ასკორბინის მეგავას რაოდენობა და კატალაზას მაჩვენებელი იზრდება დეკას ფოთლებში მისი ვერტიკალური გავრცელების მიხედვით, მეტად ეს მაჩვენებები აგრეთვე 1700 მეტრზე გადმორგული მცენარის ფოთლებში.

კატალაზას აქტიურობის ტემპერატურული კოეფიციენტი
ცხრილი 4

სიმაღლე ზღვის დონედან	მასალის დასახელება	ფოთლის ზოვანება			
		ერთ- წლია- ნი	ორ- წლია- ნი	სამ- წლია- ნი	ოთხ- წლია- ნი
2290	მოზარდი ყლორტებიდან ყვავილოვანი	1,14 1,06	1,16 1,16	1,27 1,20	—
2510	მოზარდი	1,04	1,20	1,22	—
2600	მოზარდი ყვავილოვანი	1,12 1,01 1,07	1,15 1,12 1,09	1,33 1,19 1,11	1,21 1,19
2660	მოზარდი ყვავილოვანი	1,09 1,07 1,12	1,10 1,12 1,15	1,16 1,11 1,23	1,37
1700	მოზარდი ყვავილოვანი	1,17 1,18	1,32 1,20	1,34 —	—

2. დამჟანგველი პროცესების სიძლიერე როგორც ზედა საზღვარზე (2660), ისევე გადმოტანილ ნარგავებში (1700 მ) გამოწვეული უნდა იყოს იმ გარემოებით, რომ არც 2660 და არც 1700 მეტრი არ უნდა იყოს დეკასთვის შესაფერისი და ამიტომ რაც უფრო უარესდება მცენარის აღილსამყოფელის პირობები, მით დამჟანგველი პროცესები გაძლიერებულია. აღნიშნულის დასტურს ვპოლობთ გრებინსკის გამოკვლევებშიც [6].

3. მცენარეებს, რომელებსაც რამდენიმე ასაკის ფოთლები ახასიათებს, ასკორბინის მევასის უდიდესი რაოდენობა და კატალაზას ყველაზე მეტი აქტიურობა სხვადასხვა ხნივანის ფოთლებში იქვე გამომეულავნებული, დეკას—ორ-წლიან, ხოლო ფიჭვს სამწლიან ფოთლებში.

4. ფერმენტ კატალაზას ხარისხი დაბალია, ერთი მხრივ, ფოთლის სიბერესთან დაკავშირებით, მეორე მხრივ, დაბალია 1700 მეტრზე გადმორგულ მცენარეებში. რაც შეეხება ფერმენტის ხარისხის დაბალია დეკას გაფრცლების ვერტიკალურ ზონალობასთან დაკავშირებით, მიღებულმა შედეგებმა გარკვეული სურათი არ მოგვცა.

საქართველოს სსრ მცენიერებათა აკადემია
ბოტანიკის ინსტიტუტი
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 17.6.1947)

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

1. Թ. ԿՐԵՇԱՂՈ, Ը. ՀԱՄԱԿԱՐՈՒՅԹ ԴԱ Գ. ԼԵՂՈՅՆ Ը. ՎԵՐԴԻԿԱԼՄԱՆ ԽՈՆԱՀՈՅՈՒԹՈՒՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ
2. В. Д. Костенко. Содержание витамина С в культурных и лесных растениях высокогорных районов Памира. ДАН СССР, т. XXXVIII, № 1, 1945, стр. 46—48.
3. Б. ՃՋՅԵՑՅՈՂՈ. Տայարտության մըքենարյալութիւն մոթուածո Ծովածի, 1935.
4. Н. А. и Е. А. Буш. Растительный покров Восточной Юго-Осетии и его динамика. Изд. АН СССР, 1936.
5. В. А. Благовещенский (мл.). О влиянии условий произрастания на содержание витамина С в некоторых растениях. Бюлл. Экспер. Биологии и медицины, № 3, 1937.
6. С. О. Гребинский. Витамин С и окислительные ферменты у высокогорных растений. Биохимия, т. 6, в. 3, 1941, стр. 253—266.

ბოტანიკა

დ. განჯავიძე

აღმოსავლეთის ნაძვის ლუზუსები

(ჭარმოადგინა აკად. ნამდვ. წევრმა ვ. გულისაშვილმა 2.7.1947)

შ ე ს ა ვ ა ლ ი


აღმოსავლეთის ნაძვის (*Picea orientalis* Carr.) გავრცელების არეალი ევროპული ნაძვის (*Picea excelsa* Link.) და ზედიერთი სხვა სახეობის ნაძვის გავრცელების არეალთან შედარებით დიდი არ არის. ეგროპული ნაძვის გავრცელების ფართობი გადაჭიმულია პირინებიდან საბქოთა კავშირის ეგროპული ნაწილის ჩრდილო აღმოსავლეთამდე [1], აღმოსავლეთის ნაძვი კი მხოლოდ საქართველოში, ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში და მცირე აზიაში გვხვდება. დასავლეთ საქართველოში იგი თითქმის ყველა რაიონშია გავრცელებული, აღმოსავლეთ საქართველოში კი უფრო მცირედა გავრცელებული და ისიც მხოლოდ მის დასავლეთ ნაწილში. საქართველოში ნაძვის გავრცელების აღმოსავლეთი საზღვრებია მდინარე ალგეთის ხეობა (თრიალეთის ქედი) და მდინარე არაგვი [2].

Picea orientalis-ის ვერტიკალური გავრცელება იწყება ზღვის დონიდან 300 მეტრის სიმაღლეზე და იდის 2000 მეტრზე და ზოვჯერ მეტზეც—2500 მეტრამდე [3]. თუმცა აღმოსავლეთის ნაძვის პირიზნორალური გავრცელების ფართობი მცირეა, როგორც ცნობილია, ამ მცირე ფართობზედაც ადგილი იქვე კლიმატური პირობების მევეორ სხვადასხვაობას. თუ მივიღებთ მხედველობაში ვერტიკალური გავრცელების დიდ რიაპაზონს (300 მეტრიდან 2500 მეტრამდე), ცხადი გახდება, რომ *Picea orientalis*-ს კლიმატისა და ნიადაგის სხვადასხვაგვარ პირობებში უხდება ზრდა-განვითარება. ამიტომ უნდა ვიფრქროთ, რომ *Picea orientalis*-ს, რომელიც მრავალი ათასეული წლების განმივლობაში ვრცელდებოდა ბუნებრივი შერჩევის გზით, შეეძლო მოეცა თავისი სახის (*Species*) ფარგლებში უფრო მცირე ტაქსონომიური ერთეულები როგორც შთამომავლობითი, ისე არაშთამომავლობითი ნაშთებით. ყველა ამ ერთეულის განსაზღვრა და დახასიათება შემდეგი შესწავლის საკითხს ჭარმოადგენს. ქვემოთ ჩვენ შევეხებით მხოლოდ ტაქსონომიური ერთეულის ერთ-ერთ კატეგორიას—ლუზუსებს (სუკა ჩევის გაგებით [1]), ე. ი. ისეთ მცირე ერთეულს *Picea orientalis* Carr.-ის სახის ფარგლებში, რომლის გავრცელებაც არ არის დაკავშირებული განსაზღვრულ არეალთან, ისე როგორც, მაგალითად, რასის გავრცელება, მაგრამ იჩენს მიღრევილების შთამომავლობით გადასცეს თავისი დამახასიათებელი ნიშნები.

ლუზუსები და ფორმები შესწავლილი იყო როგორც უცხოეთის, ისე ჩვენი ქვეყნის მკელევარების მიერ [4, 5, 6, 7, 8, 9] ჩვეულებრივი ნაძვისათვის, ხოლო აღმოსავლეთის ნაძვის შესწავლა ამ მხრივ ჯერჯერობით არაის მოუხდინა. ამიტომ წინამდებარე ნაშრომში, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევითი სამუშაოების საფუძველზე, შევეცადეთ მოგვებდინა აღმოსავლეთის ნაძვის ლუზუსებად დაყოფა და მოგვეცადეთ მათი ზოგადი დახასიათება.

აღმოსავლეთის ნაძვის ლუზუსები ვარჯის ფორმის მიხედვით

აღმოსავლეთის ნაძვი ვარჯის მიხედვით ძირითადად ორგვარ ფორმას იძლევა: 1. პარაბოლიკური (ფოტო № 1, a) და 2. კონუსისებური ფორმას (ფოტო 1, b).



პირველი ტიპის ნაძვი ივითარებს მძლავრ და სქელ ვარჯს, რომლის ქვედა ნახევრის დიამეტრი 6—7 მეტრს აღწევს, შუა ნაწილის შემდეგ კი იგი თანდათან ვიწროვდება და მომზადებული (პარაბოლიკური სე-ბური ფორმის) წვეროთი მთავრდება. მთავარი ტოტები განვითარებულია ლეროს პერპენდიკულარულად ან ოდნავ დაბლა დახრილად, ზედა ნაწილში კი მაღლაა ახრილი.

მეორე ტიპის ნაძვი ივითარებს სქელ, მაგრამ პირველთან შედარებით ნაელები სიგანის ვარჯს, დიამეტრით 4—5 მეტრამდე. ვარჯის შევიწროება მას ძირიდანვე ეწყება

(ზოგიერთს მიიშვნელოვნად, ზოგს კი თითქმის შეუმნიჭებული წვეროთი (ფოტო 1, b). მთავარი ტოტები დაბლა დახრილი და ისეთ შთაბეჭდილებას სტოკებენ, თითქოს მთელი ლერო ტოტებში იყოს გახვეული.

(ზოგიერთს მიიშვნელოვნად, ზოგს კი თითქმის შეუმნიჭებული წვეროთი (ფოტო 1, b). მთავარი ტოტები დაბლა დახრილი და ისეთ შთაბეჭდილებას სტოკებენ, თითქოს მთელი ლერო ტოტებში იყოს გახვეული.

პირველი და მეორე ტიპის ნაძვები ერთად გვხვდება როგორც მაღალ, ისე დაბალ ზონაში. ჩვენ ვნახეთ, მაგალითად, ერთიმეორის გვერდით მდგომი პარაბოლიკური და კონუსისმაგვარი ფორმის ნაძვები როგორც ახალ-დაბაში (800 მეტრის სიმაღლეზე), ისე ბაჟურიანში (1400—1800 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან). აქედან ჩანს, რომ მათ თავისი გავრცელების განსაზღვრული არეალი არ აქვთ იმ სახით, როგორც ეს აქვთ ეკოტიპებისა და გეოგრაფიულ რასებს (კომაროვის გაგებით [10]). მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ კონუსისებური ფორმის ნაძვები უფრო მეტად გავრცელებულია ხეობებში და ქარისაგან დაფარულ ადგილებში, პარაბოლიკურის კი, პირველ, უფრო გაშლილ და ქარისაგან ნაკლებ დაფარულ ადგილებში.

ჩვეულებრივი ნაძვის (*Picea excelsa* Link.) ვიწროვარჯიანი ფორმა წაწვეტებული წვეროთ აღწერილი იყო ევროპის სხვადასხვა კუთხეში Raesfeldt [4], Schröter [4], ენგლერის [5], პოდორსკისა [6] და სხვების მიერ. ისინი ნაძვის ამ ფორმის წარმოშობას კლიმატური პირობების გავლენით ხსნიან. ასე, მაგალითად, რესფერატი [4] ვიწრო პირამიდული ფორმის ნაძვების არსებობას ბაგარის ტყეების მაღალ ზონაში (1200 მტ. ზღვის დონიდან) უმთავრესად თოვლის გავლენით ხსნის. ვიზნერი [4] მთავარ მნიშვნელობას ანიჭებს სინათლის გავლენას და სხვა. პოდორსკი [6] კონუსისებურ ფორმას სთვლის მაღალი მთის ხეობების ფორმად. მან გამოკვლევა აწარმოვა ზემო ტაუერნში („ტაუერნბარკ“), მაღალი ზონის ერთ-ერთ რაიონში. ხეობაში, როგორიც ირგვლივ მოზიდით არის შემოფარგლული, გავრცელებული იყო კონუსისებური ფორმის ნაძვები. ამ მოვლენას პოდორსკი ხსნის ადგილობრივი პირობების, უმთავრესად კი სინათლის რეგიმის თავისებურებით. მათვე დროს იგი დიდ მნიშვნელობას აძლევს ქარის გავლენას და იღნიშნავს, რომ წაწვეტილწვერობანი ნაძვები (ვიწრო ვარჯით) სწორედ იმ ადგილებში გვხვდება, სადაც ქარის გავლენა ნაკლებია.

ჩვენი გამოკვლევები ბორჯომ-ბაჟურიანის ხეობებისათვის მთლიანად არ ემთხვევა პოდორსკის გამოკვლევებს ზემო ტაუერნის ნაძვნარი კორომებისათვის, რადგან მის მიერ აღწერილ რაიონში კონუსისებური ფორმის ნაძვს უკირავს განსაზღვრული რაიონი, სადაც სხვა ფორმის ნაძვები არ გვხვდება და ამიტომ ისინი მიეკუთვნებიან არა ლუზუსებს, როგორც ჩვენი ნაძვის ფორმები, არამედ ისეთ ტაქსონომიურ ერთეულს, რომელსაც გავრცელების განსაზღვრული არეალი უკირავს.

ჩვენ საგებით ვიზიარებთ რუბნერის [4] დასკვნებს მასზე, რომ ნაძვის კონუსისებური ფორმა დაკავშირებულია რთულ კლიმატურ პირობებთან, პირველ რიგში კი თოვლის გავლენასთან. რაც შეეხება ქარს, ამ შემთხვევაში ივი საწინაღოდევებო გავლენას ახდენს, რაც უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ გაშლილ ადგილებში არხევს ხეებს და ამით ამცირებს თოვლის დატვირთვას ტოტებზე, რითაც ხელს უწყობს ტოტების განწევ განვითარებას, ასე რომ ნაძვის ვიწროვარჯიანი კონუსისებური ფორმა ძირითადად ისეთ ფორმად უნდა ჩაითვალოს, რომელიც თოვლით არ დაიტვირთება.

დასასრულ, საინტერესოა აგრეთვე აღმიშნოს, რომ დასახელებული ფორმის ნაძვის პოდორსეი [6] დიდ სამეცნიერო მნიშვნელობას აძლევს. მისი აზრით, ეს ნაძვი ხასიათდება კარგი ზრდა-განვითარებით და საუკეთესო სარეზონანსო და სხვა დანიშნულების მერქანს იძლევა.

უნდა ვიუიქროთ, რომ აღმოსავლეთის ნაძვის სხვადასხვა ფორმაც სხვა-დასხვა ტექნიკური და სატყეო-სამეცნიერო თვისებებით დაბასიათდება, ამი-ტომ საჭიროა ამ მხრივ მათი საფუძლიანი ჟესტავლა.

ნაძვის ლუზუსები და ტოტვის ფორმის მიხედვით

აღმოსავლეთის ნაძვს, ისე, როგორც ექტოპულს, აქვს მიღრეკილება მოუ-ცეს ტოტების მრავალნარი ფორმა. ნაძვის ლუზუსებად დაყოფის შემთხვევა-ში შეცველობაში რომ მივიღოთ ყოველგვარი წერიმალი ნიშანი, შემინ ასეთი დაყოფა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება, რადგან, როგორც სუკაჩევი შენიშნავს, ტყეში ძნელად მოიპოვება ორი ისეთი ხე, რომლებიც ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდეს, რაც იმით არის გამოწვეული, რომ ნაძვნარში ადგილი აქვს რთულ ჯვარედინ დამტკრვას (I).

ამიტომ როდესაც ნაძვის ტიპებს (ლუზუსებს) ვყოფთ ტოტების ფორმების მიხედვით, მხედველობაში ვიღებთ მეცნიერად დაბასიათებულ ნიშნებს არა მარტო ერთეული ნაძვებისათვის, არამედ ხეთა მთელი ჯგუფებისათვის.

შეცველი მეცნიერებები სილენმა [7] მოგვცა შეტად მნიშვნელოვანი გა-მოცემები ნაძვის ფორმების შესწავლის საყითხში სამხრეთ შეციის ერთ-ერთი რაონისათვის. მან აღნიშნულ რაონში ტოტების ფორმის მიხედვით გამოჰყო ნაძვის შემდეგი ხუთი ტიპი (ლუზუსი):

- 1) წუნდა საფარტოსებური;
- 2) უთანაბრო საფარტოსებური;
- 3) კომ-პაქტური;
- 4) ბრტყელტოტებიანი და
- 5) ჯაგრისებური ტაბა.

სატყეო-სამეცნიერო თვალსაზრისით სილენის შეტად ზემოაღნიშნული ტი-პების შესწავლაში ცხადჰქო, რომ ეგ. წ. საფარტოსებური ტიპი განსხვავდება სხვა ფორმებისაგან სწრაფი ზრდა-განვითარებით და მერქნის სიდამპლით ნაკლები დაზიანებით. ასეთივე შედეგები მოგვცა ჰეიკინჰიმოს [8] გამოკ-ვლებამაც ფარინგისათვის.

1924—26 წლებში ზემოჩამოთვლილი ლუზუსები აღწერილი იყო იურე ს მიერ [9] კალინინის ოლქში. მან შეისწავლა უმთავრესად თესლის ხარისხიანობის დამახასიათებელი ელემენტები (აღმოცენება, გაღივება, სრულთესლიანობა და სხვა) ცალკე ფორმების მიხედვით და აღმოჩნდა, რომ ყველაზე უკე-თესი ხარისხის თესლს იძლევიან წმინდა საფარტოსებური და უთანაბრო სა-ფარტოსებური ტიპის ნაძვები, ხოლო ყველაზე ცუდს—ნაძვები ჯაგრისებური ფორმის ტოტებით.

1946 წლის განმავლობაში ჩეენ შეტარებული იყო კელევითი სამუ-შაოები აღმოსავლეთის ნაძვის ლუზუსების გამოსაყოფად და შესასწავლად ბორჯომ-ბაკურიანის ხეობებში, მანგლისში (ნაძვის გაფრცელების აღმოსავლეთ საზღვარზე) და ნაწილობრივ მესხეთ-ჯავახეთსა და აფხაზეთში (ჩხალთის

სატყეო). აღნიშნულ რაიონებში გამოყოფილი და აღწერილია აღმოსავლეთის ნაძვის ქვემომოყვანილი ლუზუსები.

I. სავარცხლის ებური ანუ მტირალა ფორმის ტიპი. ამ ფორმის ნაძვს განვითარებული აქვს წვრილი მეორადი და შემდგომი რიგის ტოტები, რომელიც დაახლოებით თანაბრადაა დაბლა დაშვებული. სხვა ლუზუსებთან შედარებით ივითარებს უფრო მსხვილ და გრძელ წიწვებს (სიგრძით 8—9 მილიმეტრი, სისქით 1—1,5 მილიმეტრი). ხასიათდება შედარებით სწრაფი ზრდით, როგორც სიმაღლეზე, ისე სისქეზე.

მთავარ ტოტზე მეორადი და შეძლევი რიგის ტოტების განწყობისა და მათი სიხშირის მიხედვით შეიძლება გამოიყოს ორი ქვეტიპი: ა) მეორადი და შეძლევი რიგის ტოტები სქლადაა განვითარებული და თითქმის გაუმჭვირვალ ფარდას იძლევა.

ბ) მეორადი და შეძლევი რიგის ტოტები თხლადაა განვითარებული (ფოტო 2).

I-ბ ქვეტიპი ანალოგიურია ჩვეულებრივი ნაძვის წმინდა სავარცხლისებური ტიპისა (სილვენის მიხედვით), ხოლო I-ა ქვეტიპი განსხვავდება მისგან მთავარი ტოტის უფრო ხშირი ჩრდილო ჩრდილო ტოტით.


II. უთანაბრო სავარცხლის ებური ანუ ხერხის ებური ტიპი. პირველი ტიპისაგან განსხვავდება უთანაბრო სიგრძის მეორადი რი-

გის ტოტებით, რომელთა განლაგებაც მთავარ ტოტზე ორ-სართულვანია. გრძელი მეორადი ტოტები თხლად აქვს განლაგებული, ხოლო მოკლე მეორადი და შეძლევი რიგის ტოტები — ძალზე სქლად (ფოტო 3).

ეს ტიპი შეიძლება ჩაითვალოს სილვენის არასწორი სავარცხლისებრივი ტიპის ანალოგად, თუმცა მისგან განსხვავდებელი ნიშნებიც აქვს, სახელდობრ:

ა) დაგრძელებული მეორადი ტოტები ჩვენ შემთხვევაში უფრო სუსტად აქვს განვითარებული, ვიდრე ჩვეულებრივ ნაძვს, ბ) მთავარი ტოტი აქ უფრო მასსავებელი ნიშნებიც აქვს, სახელდობრ:

ა) დაგრძელებული მეორადი ტოტები ჩვენ შემთხვევაში უფრო სუსტად აქვს განვითარებული, ვიდრე ჩვეულებრივ ნაძვს, ბ) მთავარი ტოტი აქ უფრო



სქლად არის შეტოტვილი მეორადი და შემდეგი რიგის ტოტებით, ვიდრე სილვეტის მიერ აღწერილ ამავე ტიპის ნაძეს აქვს.



ფოტო 4. III ტიპი, კომაქტური ფორმა (ირგვლივ განვითარებული მეორადი ტოტებით).

რადი და შემდეგი რიგის ტოტების უფრო ნაკლები კომაქტური ფორმა და შემდეგი რიგის ტოტების ორსართულოვნებით, რადი და გრძლად აქვთ განვითარებული, ნაწილი კი მოკლედ.

IV. ბრტყელ ტოტებითი ტიპი. მთავარი ტოტი მეორად ტოტებს ჰორიზონტალური მიმართულებით ივითარებს, მეორადი ტოტები კი მესამე და შემდეგი რიგის ტოტებს იმავე ჰორიზონტალურ საბრტყეში (ფოტო 5). განსხვავდება ჩვეულებრივი ნაძესის ამავე ტიპისაგან უფრო ხშირი განტოტებით.

V. უხეშ ტოტებითი ტიპი. მთავარი ტოტიდან უხეში და საკმაოდ მსხვილი მეორადი ტოტები განვითარებულია ნაწილი ჰორიზონტალურად და ნაწილი მაღლა ან დაბლა (ფოტო 6). ტოტების ასეთი განწყობა ხეს გარეგნულად უხეშს და ულამაზოს ხდის. ამიტომ ასეთი ტიპი სრულიად მიუღებლად უნდა ჩაითვალის დეკორაციული მებაღეობის თვალსაზრისით.

VI. ორმხრივრკალისებური ტიპი. მთავარი ტოტიდან რკალო-სებურად განვითარებულია საკმაოდ მძლავრი და ხშირი მეორადი ტოტები, ცოტად თუ ბევრად თანაბრად, მარჯვნივ და მარცხნივ, ისე რომ რკალი ჰორიზონტალურ სიბრტყესთან დაახლოებით 45° ქმნის (ფოტო 7).

უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთის ნაძესითვის ზემოაღწერილი ლუზუსებიდან პირველი ოთხი წარმოადგენს ჩვეულებრივი ნაძესის ამავე ტიპების ნაწილობრივ ანალოგის, უკანასკნელი ორი კი სრულიად განსხვავდება ნაძესის მატიპებისგან, რომელიც აღწერილა იყო სილვენისა [7] და იურეს [9] მიერ.

III. კომპაქტური ტიპი ამ ტიპის დაბაბასიათებულია მეორადი და შემდეგი რიგის ტოტების განლაგება მთავარი ტოტის ირგვლივ ცველა მიმართულებით (ფოტო 4).

მეორადი ტოტები მოკლე და მომსხვაო, ჩვეულებრივი ნაძესის ამავე ტიპისაგან შემდეგი ნიშნებით განსხვავდება: а) მეორადი კომპაქტურობით, б) მეორადი ტოტების ივითარებს, მეორადი ტოტები კი მოკლედ.



ფოტო 5. IV ბრტყელ ტოტებითი ტიპი.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჩვენ მიერ კვლევითი სამუშაოები ჩატარებული იყო ძირითადად ბორჯომ-ბაგრათიანის ხეობაში, ხოლო დასაცლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ჩატარებული იყო მცირე გამოკვლევები. მიწომ მიღებულ მასალებს ვერ ჩავთვლით ამიმშურავად აღმოსავლეთის ნაქანის გაფრცელების მთელი არეალისთვის და, აქედან გამომდინარე, არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ *Picea orientalis* ყველა ფორმა აღწერილი ექვსი ლუზუსით მთლიანად დახასიათდება.



ଓଲାଟିଙ୍ 6. V. ଶ୍ରେଷ୍ଠଲାଭୀପଦାନି ପ୍ରିମୀ.

ფოტო 7. VI. ორმხრივ რკალისებური ტიპი.

შემდგომ საჭიროა შესწავლილ იქნეს აღმოსავლეთის ნაძვის ლუზურები დასავლეთ საქართველოში. ამასთანავე უნდა მოხდეს დადგენილი ლუზურების საფუძვლიანი შესწავლა ტექნიკური თვისებების მიხედვით და სატყეო-სამურნეო თვალსაზრისით, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება სახალხო მეცნიერების დარგში.

ჟავარითველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

თბილისის ბორიცვეული ბალი
(ლეგაქტივის მოუწიდა 2.7.1947)

ଲୋକପାତ୍ରମାନ ଲୋକପାତ୍ରମାନ

1. В. Н Сукачев. Дендрология с основами лесной геоботаники. Ленинград, 1938.
 2. В. З. Гулиашвили. Ель восточная (*Picea orientalis* Carr.) у восточной границы своего распространения на Главном Кавказском хребте.

3. В. З. Гулиашвили. Некоторые экологические особенности ели восточной (*Picea orientalis*) и пихты кавказской (*Abies Nordmanii*) niana и климатические границы их распространения. Сообщения Груз. ФАН, т. I, 1940.
4. K. Rubnér. Die pflanzengeographisch-ökologischen Grundlagen des Waldbaus. 1934.
5. A. Engler. Die Spitzfichten, ihre Entstehung und forstliche Bedeutung. Schweiz. Zeitschr. f. Forstsw., 1903.
6. J. Podhorsky. Beobachtungen und Erfahrungen. Der Alpenpark in den Hohen Taurern Salzburgs. Forstarchiv, Heft 3, Februar, 1939.
7. N. Sylvén. Studien über den Formenreichtum der Eiche usw. Mitt. d. staatl. forstl. Versuchsanst. Schwedens, Heft 6, 1910.
8. Heikinheimo. Über die Fichtenformen und ihren forstwirtschaftlichen Wert. Communications ex instituto quae Lonum forestalium Finlandiae, editae III, 1920.
9. И. Д. Юрре. Типы ветвления ели обыкновенной. Лесное хозяйство № 7, 1939.
10. В. Л. Комаров. Учение о виде у растений. М.-Л., 1940.



პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე პროფ. დ. დ ლ ი ძ ე .

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა, ა. წერეთლის ქ., № 7
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.10.1947
ბეჭდურ ფორმათა რაოდენობა 4,75
შეკვ. 657

ანაზობის ზომა 7×11	ტირაჟი 1500
	შ. 13720

ფასი 5 მან.

12/28

9629

128

დ ა გ რ ტ კ ი ც ვ ე ბ უ ლ 0 1
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ
22.10.1947

დებულება „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოაზადის“ შესახებ

1. „მოაზადი“ იძებელება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერი მუშა-
კებისა და სხვა მეცნიერთა წერილები, რომელებშიც მოკლედ გადმოცემულია მათი გამოკლე-
ცების მოავარი შედეგები.

2. „მოაზადეს“ ხელმძღვანელობს სარეაქციო კოლეგია, რომელსაც ირჩევს საქართველოს
სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება.

3. „მოაზადე“ გამოდის ყოველთვიურად (ოფის ბოლოს), გარდა იელის-აგვისტოს თვისა—
ცალკე ნაკვეთებად, დაალოგით 5 ბეჭდური თაბაზის მოცულობით თითოეული. ერთ ტილის
ჯელი ნაკვეთი (სულ 10 ნაკვეთი) შეადგენს ერთ ტომს.

4. წერილები იძებელება ქართულ ენაზე. იგივე წერილები იძებელება რუსულ ენაზე პარა-
ლელურ გამოცემაში.

5. წერილის მოცულობა, ილუსტრაციების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს 8 გვერდი.
არ შეიძლება წერილების დაყოფა ნაწილებად სხვადასხვა ნაკვეთში გამოსაქვეყნებლად.

6. მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წერი-
ლები უზრულიდ გადაეცემა დასაბეჭდად „მოაზადის“ რედაქციას, სხვა აკრონების წერილები კი
იძებელება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ან წევრ-კორესპო-
ნდენტის წარმომადგენის გარეშე შემოისულ წერილებს რედაქცია გადასცემს აკა-
დემიოს რომელის ნამდვილ წერილს ან წევრ-კორესპონდენტს განსაზილებლად და მის დაზ-
იმო შეცვალის შემთხვევაში, წარმომადგენის წერილის განსაზილებლად.

7. წერილები და ილუსტრაციები წარმოდგენილი უნდა იქნეს ავტორის მიერ სავ-
სტილით გამზადებული დასაბეჭდად. ფორმულები მკაფიოდ უნდა იყოს ტექსტში ჩაწერილი
ხელით. წერილის დასაბეჭდად მიღების შემდეგ ტექსტში არაეითარი შესწორებისა და და-
მატების შეტანა არ დაშევა.

8. დამოწმებული ლიტერატურის შესახებ მონაცემები უნდა იყოს შექლებისძალებაზე
სრული: საკიროა აღნიშნოს უზრნალის სახელწოდება, ნომერი სერიისა, ტომისა, ნაკვეთისა,
გამოცემის წელი, წერილის სრული სათარი; თუ დამოწმებულია წიგნი, საგალდებულო-
ზიგნის სრული სახელწოდებისა, გარეოვემის წიგნის და აღვიდის მოთხოვნა.

9. დამოწმებული ლიტერატურაზე მოთხოვნისას ან შენიშვნებში ნაჩვენები უნდა იქნეს ნომერი სიის
მიშევრობით, ჩასმული კვადრატულ ფრანგილებში.

10. წერილის ტექსტის ბოლოს ავტორის უნდა აღნიშნოს სათანადო ენებები დასახე-
ლება და აღიმომტებელის დაწესებულებისა, სდაც შესრულებულია ნაშრომი. წერილი
თარიღებისა რედაქციიში შემოისახის დღით.

11. ავტორს მდევრა გვერდებად შეკრული ერთი კორექტურა მეცნიერი განსაზღვრული
ვადით (წევრულებრივად, არა უმეტეს ერთი დღისა). დაფუნილი ვადისათვის კორექტურის წარმო-
ზღვენლობის შემთხვევაში რედაქციას უფლება აქვს შეკრულ წერილის დაბეჭდა, ან დაბეჭ-
დოს იგი ავტორის ვონის გარეშე.

12. ავტორს უფასოდ ეძღვება მისი წერილის 50 ამონაბეჭდი (25 ამონაბეჭდი თითო-
ეული გამოცემიდან) და თითო ცალი „მოაზადის“ ნაკვეთებისა, რომელებშიც მისი წერილია მოთავ-
სებული.

აღდარქვის მისამართი: თბილისი, ძმინდესპის ქ., 8.